

# გზაგადასახლება

რ. ფ. ი. ც. ი. ა. ლ. უ. რ. ი. ბ. ა. ნ. ე. მ. ზ. ი. ლ. ე. ბ. ა.

განმარტება უფ. სინოდისა.

I. 14 აპრილიდან 1904 წ. № 1927. სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოების შესახებ სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.


უქაზისამებრ მათი იმპერატორებით უდიდებულესობისა, უწმიდესმა უმართებულესმა სინოდმა მოისმინა: წარდგენილ ეპარქიის მღვდელ-მთავართა, მოსკოვის სინოდალნი კონტორისა და სასახლის სამღვდელთა განმარტებას მათდამი რწმუნებული სამღვდელთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის. ბრძანებს: ძალისა გამო მოახდარ მსჯელობათა, უწმიდესმა სინოდმა გადასწყვიტა: ამასთან წარმოდგენილ სიასა შინა აღნიშნულ სასულიერო პირთ მიეცესთ სიაში მოხსენებული ჯილდოები და ეპარქიის მღვდელ-მთავართა, მოსკოვის სინოდალნი კონტორის და სასახლის საღვდელთა განმარტების საცნობარად ეს დაჯილდოების სია დაბეჭდილ იქნეს „საეკლესიო უწყებებში“.

სა სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ უწმიდესმა სინოდისკან სასულიერო უწყებისამებრ მათი იმპერატორებით უდიდებულესობის დაბეჭდების დღეს, 6 მაისს 1904 წ.

დეკანოზობის ხარისხით: ა) სუგდიდის ეკკლესიის მღვდელი ანდრია ვასნია, საქარის ეკკლესიის მღვდელი ლ. ჭინაძეილი; ქუთაისის გიმნაზიის ეკკლესიის მღვდელი ი. ტულარი-ნოვი, თფალისის ქალაქის კათედრის ეკკლესიის მღვდელი გიორგი ასათიანი; ბაქოს ქალაქის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიის მღვდელი ბიძინა კაბანავეი;

ბ.) ილუმიანის ხარისხით = ჯიხეთის დელათა სვანის წინამძღვარი, მონაზონი ელენე;

ვ.) მამადის ჯვრით უფილესი სინოდისაგან მიცემული - ქალაქის ფოთის სასაფლაოს წმიდანოლოზის ეკკლესიის მღვდელი კ. ჭანტურია; ნაფინსაოს ეკკლესიის მღვდელი დიმიტრი ბურულავა; კვაცხეთის ეკკლესიის მღვდელი მათე უორდუხანი, მახაშის ეკკლესიის მღვდელი იოანე თაგვაძე; ქუთაისის ქალაქის სასაფლაოს ეკკლესიის მღვდელი ალექსანდრე შანიძე; ჟონეთის ეკკლესიის მღვდელი ზოსიმე შანიძე; შიომღვიმის უდაბნოს მღვდელმონაზონი სერაფიონი. ოჩქიირის ეკკლესიის მღვდელი დიმიტრი მარკიანი; დრანდის მიძინების მონასტრის მღვდელ-მონაზონი დომეტი; ბეკამის ეკკლესიის მღვდელი იოანე ციციკივი; დუძე-






სოს ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ მაჭარაშვილი; ოჟიის ეკლესიის მღვდელი გეორგი ფარეშიძე; ბოდბის ეკლესიის მღვდელი იოანე ბალანჯაშვილი; მარის ეკლესიის მღვდელი ერეკლე ჭრელიძე; გურჯაანის ეკლესიის მღვდელი გიორგი ციბლაძე; ქუბთახევის მონასტრის მღვდელ-მონაზონი გაბრიელი; თფილისის სემინარიის ეკლესიის მღვდელი იასონ ლაბაძე; მარტოფის წმ. ატონის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ტომარა.


დ.) კამბეჯეთით—ტონების კარის ეკლესიის მღვდელი სოლომონ ანდრეაძე; ცხინის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ რამიშვილი; ზემო აკეთის მღვდელი დიმიტრი ჩხაძე; სოფლის ჩინს ეკლესიის მღვდელი ანტონ ციცილაძე; სუჯუნის ეკლესიის მღვდელი ფილიპონ მატყაძე; ჯუმბათის ეკლესიის მღვდელი სამსონ დარჩია; ცაგერის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე გერსამია; სოტუის სოფლის ეკლესიის მღვდელი სერაფიმ ფანჯაძე; გაღდის სოფლის ეკლესიის მღვდელი დავით გერსამია; სოფლის დისაშხოს ეკლესიის მღვდელი თნიფანტე ნადირაძე; ხასხერის ეკლესიის მღვდელი ანტონ გოლეუთიანი მუჟანგეგავილის მთავარ ანგელოსთ ეკლესიის მღვდელი ნესტორ გორგაძე; თბილისის ეკლესიის მღვდელი ამბაკო კობრაძე; ფარსანაუნის ეკლესიის მღვდელი დავით ფხაძე; სიმონის ეკლესიის მღვდელი მეთოდე უკაძე; სამურბაქანოს ოლქის მღვდელი სამსონ სვანიძე; კომის სოფლის ეკლესიის მღვდელი დიმიტრი იაშვილი. შინდის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი იოანე აგნიაშვილი. მარხანის ეკლესიის მღვდელი ტიმოთე კონაძე;

ბოდბის სვეის კვირიკე და ივლიტის ეკლესიის მღვდელი ვიტალი ჯანაშვილი. ეგობის სოფლის ეკლესიის მღვდელი სიმონ ხუციშვილი. ბედუნის ეკლესიის მღვდელი სოლომონ ბერიტოვ. წინანდალის სოფლის ეკლესიის მღვდელი სამსონ იმნაიშვილი. ბორჯომის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდელი იაკინთე გორგაძე; კანის ეკლესიის მღვდელი იოანე ოქროპირიძე; თფილისის სემინარიის ეკონომი ენიფანჯაძე.

ე) ლოცვა პართხვით ზამოხის მიტამით: სოფლის ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი ვითიკე კალანდარიშვილი. შუგდის ეკლესიის მღვდელი გაბრიელ ჯიქია. ბათუმის ეკლესიის წინამძღვარი დეკ. ალექსანდრე რალცევიჩი. სადმულის ეკლესიის მღვდელი ზორფირე კერესელიძე. მირანშიდის ეკლესიის მღვდელი სიმეონ დეგდარიანი. კამბინებულის ეკლესიის მღვდელი იოსებ კანდელაკი. მარტოფის წმიდა ანტონის ეკლესიის მღვდელი ი. კონსოვი. სოფლის წავისის ეკლესიის მღვდელი კორნელი ელისბაროვ. თფილისის ქალაქის ბერძნის ეკლესიის მღვდელი ბენიამინ კონტრე; ახანოს ეკლესიის მღვდელი სეპარია ზეტრიაშვილი.



# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსპირ კეთილმან სული თვის დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
ჰვავე ცხოვარი ჩემი წაწყემდული. მსრუთ იყოს სიხარული ცოა შინა, ერთისთვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
შოველით ჩემდა ყოველნი მამუშრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

## მღ. მამა მიხეილ ჩიქვინიძის წერილის გამო. (დასასრული\*).

წინა წერილში, აღნიშნულ კითხვის ჩვენ გამო, და უმტკიცეთ შეგნებულ მკითხველებს დიდი შუცდობა ზოგიერთებისა იმის შესახებ, რომ ვითომც კრისტიანობა ელობებოდეს წინ ხალხის განათლებას და მის კეთილდღეობას. დაუმტკიცეთ ცხადათ, რომ ევროპის და ამერიკის ხალხთა ისტორია კრისტეს შემდეგ ცხადათ ამტკიცებს ჩვენ ნათქვამს და ისედაც ყველა მიხმედარია ამას ვისაც გონების თვლი არ დაბრმავებია და ცოტაოდენი შეგნება კიდევ შერჩენია...

ზოგიერთებს ძლიერ უეკირსთ, რომ ჩვენს დროში ურწმუნოთა რიცხვა იმატა და ღვთის არ-

სებობაზე უარს განაცხადებენ. მაგრამ აქ გასაკვირველი არა არის-რა. ორი თასი წლის წინეთაც ასე იყო. ამას ცხადათ ამტკიცებს თვით საღმრთო წერილი, რომელიც ბრძანებს: „სთქვა უგზურმა გულსა შინა თვისსა არა არს ღმერთი; განირყვენ და ბილწიქმნენ იგინი“. ეს სიტყვები არის დაწერილი დავით წინასწარმეტყველისაგან, რომელიც ძველ აღთქმაში სტოვრებდა. ეს სიტყვები ცხადათ ამტკიცებს, რომ გონებით ბრმანი და ჩლუნგნი, ღვთის უარის მყოფენი, განრყენლნი და ბილწნი ყოველთვის ყოფილან და იქნებიან და მათზე ჩვენ საუბარს აღარ გავაგრძელებთ...

ღღეს ჩვენ გვინდა ორიოდ სიტყვა ვსთქვათ მამა მიხეილ ჩიქვინიძის წერილის გამო და განვმარტოთ ის, თუ რამდენად საფულოდია მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მართებლობა არ უნდა

\*) იხ. „მწყემსი“ № 8, 1904 წ.

აძლევდეს ნებას მანე მიმართულების შინაარსის წიგნების და კალენდრების გამოცემისას.

ძლიერ შემცდარია მამა ჩიქვინიძე იმ მოსაზრებაში, რომ მართლებლობა არ უნდა აძლევდეს ნებას იმისთანა მანე შინაარსის კალენდრების გამოცემისას, როგორც არის მიხილვადი გამომცემელი 1904 წლის კალენდარი... მამა ჩიქვინიძე ამბობს, რომ ხალხი ძლიერ ერწმუნება დაბეჭდილ წიგნაკებს და კალენდრებსაო. დიად, მართალია სწორედ ეს. მაგრამ თუ ორ-კლასიანი სწავლის მიმღებმა მ. გაჩეჩილაძემ კი მოახერხა კალენდრის და სხვა პატარა წიგნაკების დაბეჭდვა და ხალხში გავრცელება, ჩვენი სამღვდლოებას რაღა უშფის რომეფთაჲ მალადი და საშუალო სასწავლებლების განათლება მიუღიათ? რატომ ისინი არ გამოსცემენ კალენდრებს და პატარა წიგნაკებს ხალხში ვასავრცელებლად? თუ ნაბეჭდს ერწმუნება ხალხი სამღვდლოების წიგნაკებსა და კალენდრებსაც მიიღებს. განა სამღვდლოებას არ შეუძლია დაუმტკიცოს საზოგადოებას არარაობა ამ მანე კალენდართა და წიგნაკებთა? განა სირცხვილი არ არის ჩვენი სამღვდლოებისათვის ესეთი დაუდევნელობა? როდის აუხსნა და განუშარტა ჩვენმა სამღვდლოებამ თავიანთ სამწყსოთა და კალენდრის მანე მიმართულება ქვეყნის და კაცის გაჩენაზე უფნური, უსაფუძვლო და უკუღმართი მსჯელობა? მწყემსთ-მთავარს არა ერთხელ მიუცია წინადადება, მათთვის რომ ეცადონ თავიანთ გონების განვითარებაზე წიგნთ საცავების დაარსებით, რომ მათ შესძლონ დამწყსვა ჯეროვანად თავიანთ სამწყსოთა. წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთ სემინარიელთ, რომელთაც თავიანთ თავი დიდ განვითარებულად მიიჩნიათ, შეუტარებდა სთავიანთ მამობრიულად მიცემულ რჩევას მათ ზეთ-განვითარებაზე! დიად, მათ ჰგონიათ, რომ ყოველივე სიბრძნე მოიპოვებს სემინარიაში და ცხოვრებაში გამოხვლისას წიგნების კითხვა და თავიანთ თავის განვითარება საქიროდ აღარ მიიჩნიათ! ეს უბედური ნაკულუფენება სემინარიელების უმეტესობას ემჩნევა და საზოგადებასაც მათზე იმედი ეკარგება. ქალაქების ადგილას სამღვდლოებას როგორც უმალღესი ისე საშუალო განათლების სწავლის მიმღებთ სრულებით აღარ სცალიათ თავიანთ სამწყსოსათვის, რადგან ისე დატვირთულნი არიან სასწავლებელში საღმრთო სჯულის გაკვეთილებით, რომ მთელი ღღე მოკალეება

აღარა აქვთ და მართლაც სად აქვთ დრო ხალხის საკითხავი წიგნაკების ბეჭდვისა? დიად, ასეთია, სამწუხაროდ, ჩვენი სამღვდლოების დღევანდელი მღვდლმარეობა...

ფრიალდ სამწუხაროა, რომ ჩვენი სამღვდლოების უმეტესობა სრულებით არ მეცადინობს ბეჭდვითი სიტყვით ვასცეს პასუხი სხვადასხვა გვარ მანე შინაარსის წიგნების და კალენდრების ავტორებს, მაგრამ ერთი ორად უფრო სამწუხაროა ის, რომ ამ მანე კალენდრების და წიგნების არსებობაც კი არ იციან. არ უგდებენ ყურს თუ რას კითხულობს ხალხი და როგორ მოქმედებს სამწყსოზე მთვან წაკითხული მანე შინაარსის წიგნაკები და კალენდრები...

უმთავრესი უბედურება კიდევ ის არის რომ ჩვენმა სამღვდლოებამ არ იცის ან იცის და არ ხალხში მოიპოვოს მზა პატარა წიგნაკები, გამოცემულნი ზოგიერთ სამღვდლო და საერო პირთაგან ხალხში ვასავრცელებლად. ამისთანა სასარგებლო წიგნაკები ბევრი იყო გამოცემული ღეთისმშობლის ძმობისაგან, რომელიც დაარსებული იყო სიონის ტაძართან 1886 წლის იანვრის თვიანდ მისამდისინ. მრავალი წიგნაკებია გამოცემული „მწყემსი“-ს რედაქციისაგან და ზოგიერთ სხვა პირთაგან, მაგრამ იმერეთის ეპარქიაში მარტო ორი-სამი მღვდელი მეცადინობს ამ წიგნაკების შინაარსი შეატყობინოს თავიანთ სამწყსოთა და მკითხველ ხალხთა შორის ვაავრცელოს იკინი, დანარჩენი ჩვენი სამღვდლოების უმეტესი ნაწილისათვის სრულებით შეუტყობელია არსებული სასარგებლო წიგნაკები. ზოგს თუმცა აქვს შეტყობილი, მაგრამ უზომო თავმოყვარება ნებას არ აძლევს ხალხის ნაწილთ ისარგებლოს. ამნაირად ერთი უმთავრესი თავისი მოვალეობა: ქადაგება, სწავლება დამოძღვრა. მზილბა დროით და უდროოდ აუსრულბეელი რჩება, სამწუხაროდ იმ დროს როცა ხალხში პატარა საკითხავი წიგნაკები თანდათან ვრცელდება და როცა საზოგადოდ ხალხში კითხვის სურვილი ასე შესამჩნევად მატულობს...

დიად, დროა ვავიღვიძოთ, ჩვენო თანამოძმენო! ვიღვიძებდეთ, რომ ჩვენი ძილის დროს მტერი არ შეგვეპაროს ქრისტიან ყანაში და ღვარძლი არ დათვსოს ზ ჩვენზე არ ასრულდეს სასარგებლო სიტყვები: „და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი, და დასთესა ღვარძლი შორის იფქლსა მას, და წავიდა. (სახ. მათ. 13, 25). სიტყვით უკუღმართ

თქმულს სიტყვით გავსცეთ პასუხი და ბეჭდვით თქმულს — ბეჭდვით. უნდა გვახსოვდეს ყოველთვის მაცხოვრის სიტყვანი, რომ **განა და ქვეყანა წარჩხადენ ხოლო საიტყვანი მაცხოვრისანა არა წარჩხადენ.**

დამ. დ. დამაშაიძე.

**წერილი რაჭიდან.**

წარსული წლის ენკენისთვის შუა რიცხვებში ყდ სამღვდლო ლეონიდის განკარგულებით მიზნა რაქის მარხის სამღვდელოების წარმომადგენელთ კრება ჭელიშის მონასტერში, რომელ კრებაზედაც სამღვდელოებამ ვალად დაიდვა თავის თავზე ერთი საზოგადო წიგნთ-საცავის დაარსება ს. წესში, რომლითაც შესძლებოდა ესარგებლნა მთელი რაქის სამღვდელოებას.

მე არ ვფიქრობ რომ მოიძებნოს ვინმე ოდნავ მაინც შეგნებული პირი, რომელმაც უარ-ჰყოს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სარგებლობა. ყველა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რომ ვინც ცოტათ მაინც დაინტერესებულია ხალხის წინ სვლა-განვითარებაზე ყოველის მხრით და სურს ფაქტიურათ დახმარება აღმოუჩინოს მას ამ საქმეში, საჭიროა უპირველესად ყოველისა თვითონ განვითარებული იყოს იგი (მსურველი). ხოლო რა გზით შეიძლება თვით-განვითარება ესეც ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. ქრისტ. მოძღვრისათვის უწინარეს ყოველისა საჭიროა საღვთის-მეტრსყველო მცენიერების **საფუძვლიანათ** შესწავლა სხვა-და-სხვა მცენიერულ ნაწერების საშუალებით. ჩვენ არ შეგნებით აქ უსწავლლო მღვდლებს, რომლებათვის მეტის-მეტე საჭიროა თვით-განვითარება. ავიღოთ თვით სემინარიელი მღვდელი. თუმცადა სემინარიაში ბევრს რამეს სწავლობს მოსურნე პირი მომავალი ცხოვრების შესახებ, მაგრამ მაინც ყოველად შეუძლებელია სრული მომზადებული გამოვიდეს იქიდან. ბევრი რამ აკლია მას, რომლის შექმნაც აუცილებელია: საჭიროა მისთვის და უკომლისოთაც იგი ვერ გამოვა სასარგებლო მუშაუ ქრისტეს ყანაში. ხოლო თვით-განვითარება ითხოვს წიგნებ-ჟურნალ-გაზეთების კითხვას-შეძენას. ყოველს შეგნებულს მღვდელს აქვს უმეტეს ნაწილათ

გამოწერილი თითო ოროლა ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ ამ რიცხვს ჟურნალ-გაზეთისას იმდენი მნიშვნელობა აქვს კაცის განვითარების საქმეში, რამდენიც ზღვაში წვეთს. საკუთარი წიგნთ-საცავი, რომლებშიდაც მოიაზრებოდეს ჩვენთვის საჭირო წიგნები, ძნელათ თუ ინახება ჩვენში. ოც-ოც მღვდელში ერთს თუ მოეპოება რამოდენიმე ოცი ცალი წიგნი სხვა-და-სხვა მწერლისა... კიდევაც რომ ძლიერ სურვილი ჰქონდეს ბევრ ჩვენგანს წიგნებ-გაზეთების ბლომათ გამოწერისა რა იქნება?— ვინ მოგვცა ღატაკ სოფლის მღვდლებს იმდენი შეძლება, რომ ყოველდღიური მოთხოვნილება დაეკმაყოფილოთ და ჟურნალ-გაზეთებიც საქაო რიცხვი ვიწრობთ? ერთ-ორი ჟურნალის ანუ გაზეთის ფასის შეგროვებაც ძვირათ უჯდება ბევრ ჩვენთაგანს. — თუმცა კერძოთ აღებული მღვდლის მდგომარეობა ასეთია, მაგრამ ესევე არ შეიძლება ითქვას მათ (სამღვდელოების) შეერთებულ ძალებზე. ყველა ჩვენთაგანის წვლილი ერთათ ბევრს შეადგენს და ამიტომაც მეტს კეთლს ნაყოფს მოიტანს.

ამისთვის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებას იდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენთვის, რადგანაც ბევრი რამ საინტერესოა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები შეიკრიბება იქ და ყველათი სარგებლობა შეგვეძლება... მაგრამ ამ ფრიად სასარგებლო საქმის გადაწყებაში ერთი რამ არ არის კარგ გზაზე დაყენებული ჩემის ფიქრით.

მოგახსენებათ, მკითხველო, ჩვენს კავკასიაში ბევრგან არის გახსნილი წიგნთ-საცავები, მაგრამ კერძოთ ჩემთვის ძლიერ ცოტა მნიშვნელობა აქვს მათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი სარგებლობა ჩემთვის შეუძლებელია. ამა თუ ღმერთი გწამთ რა სარგებლობა უნდა მომიტანოს მე ვინაა არაბულმა სამკითხველომ? — შეიძლება ვინმეს სთქვას სხვას მოუტანსო, მაგრამ მე იმას კი არ მოგახსენებთ, რომ ჩემს მეტი სხვა არაინ მახსოვსთქვა. — არა, ჩემთვისან ბევრ სხვასაც ვგულისხმობ. მე მოგახსენებთ, რომ უხერხულ და მიუწლომელ ადგილზე წიგნთ-საცავ-სამკითხველო უმრავლესობისათვის უსარგებლოა. კერძოთ ავიღოთ ჩვენი მომავალი წიგნთ-საცავ-სამკითხველო წესისა. ვარწმუნებთ, რაქის სამღვდელოების მეთოდნი ნაწილი ვერ ისარგებლებს მითი.

ხსენებულ კრებაზე იყო ამის შესახებ ლაპარაკი,

მაგრამ რაღაც განუსჯღლოთ კი გადასწყდა ასე. ვითომ ითქვა, რომ ერთი წიგნთ-საცავი კარგი დაარსდება მთელი მაზრის სამღვდელთაგანსა საშეაღებითო. მაგრამ ეს მაინცდამაინც დიდათ საფუძელიანი როდია. ნუ-თუ ორათ რომ გაიყოს ჩვენი რაჯის სამღვდელთაგან ვერ შესძლებს ორი წიგნთ-საცავ-სამკითხველთა დაარსებას? — ის არა სჯობია, რომ დაეაზროთ წიგნთ-საცავები იმისთანა ადგილზე, რომ ყველას შეგვეძლოს სარგებლობა? — ესთქვათ, პირველათ არ იქნებოდა ესეთი მდიდარი, მაგრამ, ვგონებ, მაინც უნდა აჯობოს ერთს და მდიდარს წიგნთ-საცავს, რომლითაც მსუბუქელთ მეოცედი ვერ ისარგებლებს. ეს პატარა წიგნთ-საცავები თან-და-თან გაფართოვდებიან, რასაც ხელს შეუწყობს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ორივე მხარე (ზემო და ქვემო რაქველთაგან) მოაწოდებოდა იქმნება უკან არ ჩამორჩეს ერთი მეორეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი დიდი საქმე პატარადგან დაწყებულია და ჩვენ კი გვინდა უმაღლეს უზარმაზარი წიგნთ-საცავი დაეაზროთ და იმას კი არ ვფიქრობთ, შეგვიძლია თუ არა სარგებლობა მითი?

ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს რაჯის მაზრის სამღვდელთაგან კრება მმ. ბლაღოჩინების მეთაურობით წიგნთ-საცავ-სამკითხველთაგან საქმის მოწყობის შესახებ. სრული იმედი მაქვს სამღვდელთაგან მეტის ყურადღებით მოეკიდება ამ ფ-დ მნიშვნელოვან საქმეს და დააყენებს იმ გზაზე, რომელიც უტყუარი მიმყვანელია მიზნისადმი. ფრიად სასურველია თითოეული საბლაღოჩინო გახსნიდეს თავისთვის წიგნთ-საცავს, რაზედაც სრული თანახმაა, როგორც ამას წინათ გამოიჩინა საბლაღოჩინო კრებაზე, სადმელის საბლაღოჩინო ოლქის თითქმის მთელი სამღვდელთაგან და უკეთეს ეს არ მოხდება, მიუხედავად იმისა, თუ გულითა გვსურს კეთილი, ორი წიგნთ-საცავ-სამკითხველო მაინც ვაგხსნათ.

ვიმეორებ, იმედი მაქვს ჩემი ხმა არ დარჩება ხმათ მლაღვდელთა უდაბნოსა შინა.

მღ. ჯ, კ—ქ.

**«ზა ბენეფიკენსკაჲ»**  
 იგნ თავი თავისი.  
 (გაგრძელება\*)

დღემდამდე აპოლონის ბომონის (ტაძრის) კარებზე შემსვლელ-გამომსვლელთა საყურადღებოდ მსხვილი მოვარაუებულის ასოებით ეწერა: „იცან თავი თვისიო“. აპოლონმა ადამიანთაგან უგონიერეს ბრძანად აღიარა სოკრატე, რადგანაც მას შეეგნო, რომ არაფერი არ იცოდა. მართლაც და, თვით-ცნობიერება, თავისის ავ-კარგის გაგება და ღირსება—ნაკლები-ვანებათა ნათლად წარმოადგენა—პირველი საფეხური იყო თვით აღზრდისა, თვით-განვითარება-განკარგებისა. როგორ შეგვიძლიან განვითარდეთ თვით რაიმე ნაკლები-გან, თუ ჩვენ მას ვერც-კი ვხედავთ, ან როგორ უნდა განვითარდეთ რაიმე ნიჭი (ტალანტი), თუ არც-კი შეგვინიშნავს იგი.

უმაღლესი მიზნის მრავალთა უბედურებისა, სახელდობრ, იმაში მდგომარეობს, რომ მათ არა აქვთ გაცნობილი და აწონ-დაზომილი თავისი ძალ-ღონე. ამ გარემოების შესახებ ამბობს გიორგი: „რა უბედურია ის ადამიანი, რომელიც არ აკეთებს მის, რის გაკეთებაც შეეძლო, და ისეთ საქმეს სჭიდებს ხელსა, რომლის შესრულებაც მას არ ძალ-უძს;—გასაკვირველი არ არის, თუ იგი იღუბება!“. მრავალნი საუკეთესო ხანას თავისს ცხოვრებისას ანდომებენ ისეთის ხელოვნების ან მეცნიერების შესწავლას, რომლის ნიჭიც მათ სრულიად არ გააჩნიათ; ზოგს ჰსურს შეიქმნეს შესანიშნავი მწერალი, მემუსიკეთი, ან მხატვარი, — არავითარი ნიჭი არ აბადიათ. ამოთ აშკარაგვინ კრიტიკოსები მათს უნიჭობებს, ამოთ არწმუნებენ ახლოელები, მეგობრები და საზოგადო-კეთილის-მოსურნეები ამ საქმეს თავი დაანებონ. მათ მაინც და მაინც ჰგონიათ, სხვებმა ვერ შეინიშნეს ჩვენი ნაწარმოების საუკეთესო მხარეები, ან შურთა და ამიტომ განაგრძობენ მეცადინეობას. ისინი შრომობენ, მუშა-კი არა სწყალობთ მათ და დაუემაყოფილებელი პატივ-მოყვარეობის გრძნობით აღსაესებებს ჰშურთ სხვების გამარჯვება. ვალდონმა მშვენიერათ წარმოადგინა ასეთი კაცი თავისს რომანში „დემონი შურისა“. ყმაწვილი-კაცი არა განსაკუთრებული ნიჭისა, რომელსაც თავისი უნი-

\*) იხ. „მწეგნო“ № 8



ქობა ვერ შეეგნო, გაიტაცა მხატვრობამ. რადგანაც მისი შრომა უნაყოფოდ რჩება, ამიტომ ის უფრო-და-უფრო ბრაზობს და ბოლოს ისეთ წერტილამდე მიდის, რომ ლამის მოკლას თავისი უფრო ბედნიერი მეგობარი.

სრულიად სხვა-გვარ მაგალითს წარმოადგენს გუსტავ ფრეიტაგი. თუმცა იგი მრავალ-მხრივი და ფრიალ დიდი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ ამასთანავე მას ისე მშვენიერად ჰქონდა აწონ-დაწონილი თავისი ძალ-ღონე, რომ მისი გატაცება არ შეეძლო ისეთს საქმეს, რომელსაც იგი ვერ მოერგოდა. თუმცა ახლოელები და მეგობრები ურჩევდნენ მას პარლამენტარ ამოცრიათ სამოღვაწეო ასპარეზად, მაგრამ იგი არ დათანხმდა: ის ისეთ საქმეს სჭიდებდა ხელსა, რომელიც სრულიად შეფერვბოდა მისს პოეტურს ნიჭსა. იგი ფრიალ განვითარებული და საღი ქუყის კაცი იყო, ამიტომ ნათლად შეეგნო, რომ იგი ისეთი გენიოსი არ იყო, როგორც გიოტე, შილდერი, ან ბაირონი. მან იცოდა ყოველიფერში ზომიერება, შეეძლო გარემოებათა მიხედვით ესარგებლა ისტორიის ღრმა ცოდნით, შეეგნო, რომ მას იუმორისტული და გამოხატულობითი ნიჭი ჰქონდა და ამისთვის მოიხებოდა მტკიცე სახელი თავისი პატარ-პატარა, მაგრამ დამთავრებული და მშვენიერი თხზულებებით.

ბევრი ბედნიერი იქნებოდა სიტაბუეშაიაც და შემდგომ სიცოცხლეშია, თუ რომ მშობლების და თვით მათი გრძნობა ცრუ-დიდებისა (тщеславие) არ აძულებდეს დასძლიონ მათთვის შეუძლებელი საქმე, გინაზიის კურსის შესრულებას. იმის მაგიერ, რომ ტყუილ-უბრალოდ, ფუჭად დაჰკარგონ საუკეთესო წლები, თან ვერც დამთავრებული, წესიერი განათლება მიიღონ, გვიან გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზე, დაიჭირონ ისეთი ადგილი, რომელიც სრულიად არ შეეფერება მათს ნიჭსა და მიღრეკილებას—უფრო უმჯობესი იქნებოდა სახალხო სკოლით დაქმნაყოფილებულიყვნენ და შემდეგ პირ-და-პირ ისეთი საქმისთვის მოეკიდათ ხელი, რომელიც მათს ლტოლვილებას შეეფერებოდა, რომელშიაც ისინი თავს უფრო ძალოვანათ გრძნობენ. შეუცთო-მელად ამორჩევა სამოღვაწეო ასპარეზისა, რომელშიაც ადამიანი გრძნობს თავის მოწოდება-დანიშნულებას (призвание), - ერთი უმოთაერესი შედეგთაგანია თვით-ცნობიერებისა, თავისის აე-კარგის შედგება-გათვლისწინებისა. შესაზარია შეცდომა ასპარეზის

ამორჩევაში. ურწმუნო მივდელი, მხალღი ოფიცერი, ჩლუნგი გონების მქონე მეცნიერი, უნიჭო მწერალი ან მხატვარი და სხვანი ამგვარი სწორედ შესაბარალისნი არიან. შეგვიძლიან ესთქვათ, რომ ყოველი ჰირუტყვი მათზე ბედნიერია, რადგანაც იგი სურვოს და ვერტვის მხოლოდ მას, რასაც მოითხოვს მისი ინსტიქტი, ე. ი. მოწოდება-დანიშნულება. ყოველ კაცსა აქვს მოწოდება-დანიშნულება? ყველა უეჭველათ გამოსადგეია რაიმესთვის? უეჭველია ყველას ბუნებიდანე აქვს უწყებული ნიჭი და საქმე იმაშია, რომ იგი ამოვაჩინოთ და გავითვალისწინოთ. თუ ადამიანი რამდენადმე ნიჭიერია, ნიჭის შემჩნევა ძნელი არ არის. ვისაც აქვს ნათლად შემჩნევი ნიჭი ამა თუ იმ ხელოვნებისა, მათემატიკისა ან ენების შესწავლისა, ან და გრძნობს მიღრეკილებას სამხედრო სამსახურისადმი, - მისი მოწოდება დანიშნულება თვითონვე ჩნდულობს თავსა. ზმირად კი ვხედავთ, რო ადამიანს არა აქვს არც რაიმე განსაკუთრებული ნიჭი, არც განსაკუთრებული მიღრეკილება—ასეთ ადამიანთა პროფესიის ამორჩევა შემთხვევაზეა დამოკიდებული. ესენი—საშუალო, ლამის ყოველ პროფესიისათვის ერთ-გვარად გამოსადგეი და ერთ-გვარად გამოუსადგვარი ელემენტები არიან. ყოველ შემთხვევაში აქაც შესაძლია შეცდომა, მაგრამ მათი შესწარება ადვილია. თუ, სადაც შესაძლია, ადამიანი შეიკვლის პროფესიას, შილდერს უნდოდა მქადაგებლად გამხდარიყო, ძალა-უნებურათ შეიქმნა ექიმად, საქიროებამ იგი პროფესსორად გახადა და დასასრულ, როგორც მწერალი, შეიქმნა მქადაგებლად, მასწავლებლად სახარების უმაღლესი მნიშვნელობით ამა სიტყვისა. გებლერს სურდა ექიმობა, მაგრამ პირველი ოპორტუნის დროს გულად წაუვიდა და ამიტომ გადასწყვიტა მივდლად წასულიყო. ბევრნი იწყებენ თეოლოგიით (ღვთისმეტყველებით) და ათავებენ სიცოცხლეს სტენაზე.

ზოგნი უნიჭიერენი ყმაწვილნი იტანჯებოდნენ იქნეულობით, ვაი თუ ვცდებით სამოღვაწეო ასპარეზის ამორჩევაშიო. გიოტეს, მაგ., დიდი ხანი ვერ გადაეწყვიტა ხელოვნად (მხატვრი) გამხდარიყო, თუ მწერლად; მაგრამ ასეთი რხევა ამა თუ იმ მხარეზე ყველას ღიმილს მოპვრის, ვისაც უნახავს სურათები, გიოტეს მიერ სემეწვილიანი დაწერილნი; შემდეგში გიოტემ სრულიად თავი მიანება ხელოვნებას და რაოდენიმე წელიწადს სამეცნიერო მოღვაწეობას

გატაცინა; სრულ წლოვანებაშიაც იგი დიდის ინტერესით ეკიდებოდა მეცნიერებას და „ყვაილთა თეორიას“ თავის საუკეთესო, უმოთარეს და დიდმნიშვნელოვან შრომად რაცნდა. ამ გვარადვე შილლერი ირჩეოდა პროფესიის ამორჩევაში. განვლო რა მან პირველი ხანა გატაცებისა, როდესაც იგი უკვე დოქტორი იყო მედიცინისა, უტბათ შეიქმნა ისტორიის პროფესორად იენის უნივერსიტეტში და 15 წელი ფილოსოფიურ-ისტორიულ გამოკვლევების წერვას მოანდომა, რაითაც კინაღამ მიწაში არ დაფლო, არ დაღუბა თავისი პოეტური ნიჭი. მხოლოდ გიოტესთან დამეგობრების წყალობით მან შეიგნო თავისი განსაკუთრებული მიღრეკილება და შემდეგ მთლად მას მოანდომა თავისი ძალ-ღონე. ასეთ რჩევას ამა თუ იმ მხარეს გამოივლიან ხოლმე მხოლოდ მრავალ-მხრივი ნიჭის მქონე პირები.


ლიტერატორის (მწერლობის) ისტორიიდან ჩვენ ვიცით რამდენიმე მწერალი, რომელიც იმეგ დროს ხელოვანიც ყოფილა: გესსენერი, მიულლერი, კელლერი. უკანასკნელის საინტერესო ბიოგრაფია მწვინე ჰენრიხი ფრიად ვაგრკელეზულია.

ბევრი ყმაწვილი უკმაყოფილოა თავისის პროფესიით; როდგანაც ხედავს მასში მხოლოდ ცუდ მხარეებს, სხვა ფროფესიაში კი მხოლოდ კარგებსა. ყოველ საზოგადოებრივ მდგომარეობას აქვს როგორც ცუდი ისე კარგი მხარეები და ხშირად ყმაწვილ-კაცს სხვის მდგომარეობისა ის მოსწონს, რაც შექმლო თვითონაც შეექმნა, თუ დროს გონიერულად გააწვრივებდა. ხშირად ხდება, რომ ყმაწვილი ვაჭრები მეცნიერების მოტრფილიენ არიან, და როდესაც ვინმე მათ ამის შესახებ დაეკითხება, უბასუხებენ: გვიანდლა სპეციალურ საგნად ამოგვეჩრია შესწავლა ფილოსოფიისა ან ლიტერატურისაო. მაგრამ ჯერ ერთი ისა, რომ მეცნიერება მისცემს სახსარს ცხოვრებისას მხოლოდ იმას, ვისაც საკუთრივ მისთვის წაუღვია ხელი; მეორე კიდევ ისა, რომ ვაჭარს საქმარისად რჩება თავისუფალი დრო და ამიტომ შეძლება აქვს თავის საყვარელი საგნის შესწავლისა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საჭიროა სიმტკიცე ხასიათისა; არ კმარა წიგნების კითხვა უსისტემოთ, რაც ხელთ მოხვდებათ, არამედ საჭიროა შესწავლა მეცნიერების თან-და-თანური განვითარებისა, ე. ი., აღამიანმა საფუძვლიანად უნდა შესწავლოს ნაწარმოები ერთი მეორის შემდეგ, გა-

მოჰყავდეს საზოგადო დასკვნები, ერთსა და იმავე კითხვაზე, იკითხოს სხვა-და-სხვა ავტორების თხზულებები, მოიპოვოს წიგნები, რომელნიც შეგ არის ნაჩვენებია და დაუღალავად უნდა ელტოდეს სძლიოს სხვადასხვა დამრკოლება. ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითის წარმოადგენს ფრანკლინი; თავდაპირველად ის ასოთ-ამწყობად იყო, შემდეგ-კი თვით-განვითარების წყალობით უგანათლებულეს აღამიანად შეიქმნა.

(გაგრძელება აქნება).

ნ. ს. — კ.



### შურნალ-გაჯიმთიბიდან.

აზნაქეუბას ნადამა დანდანში. ლონდონში 22 აპრილს სასტუმრო „პოტელ მეტროპოლ“-ში იაზნელემმა წლიური ნადიმი გამართეს; ამ ნადიმს დაეწრნენ იაზონიის ელჩი ბარონი გაიაში თავისის მეუღლით, საელჩოს წევრები, ყველა, ვინც კი ლონდონში გამოჩენილი იაზონელი სტოგოზის, ინგლისის ვაჭრობის წარმომადგენელი, ჩინეთის ელჩი მეუღლით, იაზონიის მთავარი კონსული და მინისტრად ნამყოფი ბარონი სუიამასუ. თავდაპირველად ინგლისის მეფე ედუარდისა და იაზონის იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვეს. ბარონ სუიამასუმ მეფე ედუარდის სადღეგრძელო წარმოსთქვა და, სხვათა შორის, სთქვა: ბევრი ჩვენი თანამეძნობიც ჰფიქრობდა, იაზონია ვერ შესძლებდა ნაკირ მძიმე საქმესაო, მაგრამ ეს შეცდომა იყო. — იაზონია მშვენიერად მოგმზადა საომრად. მე-XIII საუკუნეში მონგოლები სრულ 40 წელიწადს აწუხებდნენ იაზონიას, მაგრამ ჩვენი ხალხიც მედგრად უხვდებოდა მტერსა და უკანასკნელის ბრძოლის დროს 3000 ათასი მონგოლი გასწყვიტა, — თითო-აორილა მონგოლი-ლა ვადარჩა ცოცხალი. ამ წლის დამდეგს ტოკოაში იმპერატორის თანდასწრებით სახელმწიფო კაცებმა თათბირი მოახდინეს და დადგინეს, რომ იაზონია ამ სულ უნდა დაიღუპოს, ამ თავისი გაიტანოსო. იაზონიის ხალხი და თავად-აზნაფობაც ერთხმად მიემხრო ამ აზრსა. ამიტომ იაზონია, სანამ მთლად არ გაისრისება, შერიგებას არ დას-



თანხმდება. უცხოელებში ბევრს ეგონა, იაპონიას ფული არა აქვს და ომს ვერ შესძლებსო. ჩვენში სულზე 6 მილინზე 11 პენსი ჩვეულებრივი გადასახადი მოდის და 2 მილინზე 11 პენსი—სამხედრო გადასახადი. იაპონიის ხალხს სულაც არ აწვევს დიდი სახელოწიფო გადასახადი. ჩვენმა მთავრობამ შინაგანი სესხი გამოსცა 100 მილიონ მანეთისა და ომისთვის საჭირო ფული შინვე იშოვა.

**მზადება ბრანდერების ჰარველ ეერშეისათვის.** იაპონურ ეურნალ „ნიშე-როსენსი“-ში დაწვრილებითაა აწვრილი იაპონელების მზადება ბრანდერების პირველი იერიშისათვის (11 თებერვალს):

„თებერვლის დამდევ ფლოტის უფროსებმა გადასწვეიტეს, პორტ-არტურის რეიდი ჩავეკოთ და მტრის ესკადრა შევმუსროთო. ამ საქმისათვის ნ ბრანდერი (უბრალო გემი) დანიშნეს. ბრანდერებს ნაღმიანი გემები, ნაღმიან გემების გამანადგურებელნი და კრესიერებიც გაუწვედნენ დახმარებას. სულ 16 გემს უნდა მიეღო ამ საქმეში მონაწილეობა. ამ რაზმის—16 გემის—მთავარ უფროსად და ხელმძღვანელად აღმირალი კამიმურა დანიშნეს. ბრანდერებს ებრძანათ, იერიშისათვის მეტად საღუმელოდ მოემზადენითო. სუთივე ბრანდერი შავად—ბრძოლის ფერად შეიღებნენ, ქვა-ნახშირი მოძის ნათესადგურიდან წამოიღეს, ასაფეთქებელი მასალა სასებოდან. აღმირალი კამიმურა ბრანდერებისათვის მებრუნაობა არჩევანს შეუდგა. აღმირალმა გამოუცხადა 16 გემის მებრუნაობებს:

„მტრის ფლოტის გასანადგურებლად პორტ-არტურის შესავლის ჩაკეტვა გადაწყვიტეთ. ეს მეტად მძიმე, ძნელი ასასრულებელი საქმეა... მაგრამ გარემოებამ ისე მოიტანა, რომ პორტ-არტური უსათუოდ უნდა ჩავეკოთ. ყმაწვილებო! ვისა გსურთ, ეს მძიმე საქმე იღოთ თავსა? ვინ ატყობს თავის თავს, რომ ძალი შესწევს და სამშობლოსათვის თავის დადება შეუძლიან, მხოლოდ იმან გამოსთქვას სურვილი. არ დაგიმალოთ, რომ ბრანდერზე ასულა და სიკვდილი—ორივე ერთია.“

გიაგვი თუ არა მებრუნაობა ეს მოწოდება, საქმე გაუჭირეს გემების უფროსებს: ყველაშ მოინდომა ბრანდერზე წასვლა. სულ 77 კაცი იყო საჭირო ბრანდერებისათვის, მსურველი-კი მეტად ბევრი გამოჩნდა, ამიტომ ზოგი მებრუნაობის უფროსის ყურადღების მისახიდად ისე მოიტყა, როგორც ძველ-

ბურ სამურაის (ახანაურ-შვილის) თქმულებებში სწერია: ნეკი მოიჭრა და თავის თხოვანს ნეკის მონაჭერით სისხლის ზეკვიდე დაასო. კამიმურას მოწოდება დიდს 10 საათზე გაიგვს მებრუნაობა და შუადღემდე 2 საათმა კაცმა მოინდომა ბრანდერზე დანიშნა. კამიმურას ისე უნდოდა აერჩია კაცები, რომ არც ერთის გემის მებრუნაობებს არა სწყენოდათ. ამიტომ აღმირალმა ყველა 16 გემიდან თანასწორად აიყვანა კაცები. 5 აფიცერი და 5 ინჟინერ-მექანიკიც აირჩია. ორიოდ დღის შემდეგ ბრანდერები სრულიად დამზადებულნი მივიდნენ უმთავრეს ესკადრასთან. იერიშზე გაგზავნის წინ კამიმურა გულწრფელად, წყნარად გამოემშვიდობა მებრუნაობებს:

„შვილებო! მეტად საშიშ საქმეზე გავაფრთხილებ, მტრის ყუმბარების მსხვერპლად გჭირვება. ჩემ საკუთარ შვილებს ზარბაზნის პირში გადგებთ... დიას, მერწმუნეთ, საკუთარი შვილები რომ მყავდეს, ერთს წამს არ დაფიქრებოდი და თქვენ გამოგაყოლებდით... წადით, შვილებო, და მტრის მხოლოდ ერთი რამ დაუმტკიცეთ—ამომავალ მზის ქვეყნის შვილთა გმირობა!.. თუ ბრძოლის დროს მარჯვენა ხელი მოგწყდებათ, მარცხენათი იბძობოლეთ, თუ მარცხენაც მოგწყდებათ, ფეხით გაისარჯეთ... გასოვლეთ, რომ მხოლოდ 77 კაცი მიდხიბოთ, საქმე კი მეტად დიდი და მძიმე გაქვთ მონღობილი—ასე რომ ყოველ თქვენგანს მეტად დიდი მოვალეობა ხვდა წილად... ვისაც ძალი არ შესწევს ამ მძიმე საქმისათვის, ვისაც საკმაოდ მაგარი, დინჯი გული არა აქვს, სჯობია ეხლავ უარი თქვას, ჯერ კიდევ გვინ არაა. უარის თქმა სირცხვილი როდია; სირცხვილი ისაა, ვისაც გულში გინდ ექვსის ნახსენ აქვს და ეხლავ უარს არ იტყვის!“

—ბაზია! შესძახეს მებრუნაობაში.  
კამიმურამ განაგრძო:  
„იმბრძანებთ თქვენთვის: ყველამ თავი დასდეთ ამ საქმეზე და სიცოცხლე შესწირეთ სამშობლოს, მაგრამ თქვენის სიკვდილით მტერი არ გაახაროთ; უსარგებლოთ ნურავინ მოჰკვდებით, ჯერ თქვენი დიდი მოვალეობა შეასრულოთ! გამოსაღმების დროს მამანაურს არ შემოგთავაზებთ. თქვენ დიდ საქმეს ნათელი სული და დამშვიდებული, თხზილი გონება სჭირია. შამანური სულსა და გონებას ურევს... წმინდა წყალი შეგსვათ თასით, ამომავალ მზის ქვეყნის გმირო... შეგსვათ და სამარე-გემზედ წადით...“



ადმირალმა მემკვიდრე პრინცის ნაჩუქარი თასი გაავსო წყლით, ჯერ თითონ დალია, მერე მგზღავურებს მიაწოდა.

— ბანზაი! ბანზაი! დაიძახეს მგზღავურებმა და ამ აღტაცებულ ძახილს სამხედრო მუსიკამ მისცა ბანი... (არუსი-ი).

ანგღასელებსა და აბანგლებსა ნადამა ტოკაოში. (სტანდარდი იუწყება; წარსულ ხუთშაბათს ტოკაოში იაპონიის მოყვარე ინგლისელთა საზოგადოებამ ინგლისის ელჩის მაცდონაღლის მეთაურობით წლიური ნადიმი გადაიხადა. ნადიმს დაესწრნენ იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბარონი კომურა, ინგლისის სამხედრო წარმომადგენელი გენ. ნიკოლსონი და სხვა ინგლისელი აფიცრები.

ბარონმა კომურამ ინგლისურ ენაზე სიტყვა წარმოთქვა და, სხვათა შორის, სთქვა: იაპონელები დღიდათ აფასებენ ინგლისის ერის თანაგრძნობას მეტადრე იმიტომ, რომ ინგლისის ერი ყოველთვის სიმართლეს თანაუგრძობს და საყოველთაო სფეროთა შორის ინტერესებს იცავსო. იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფმა კატომ იმედი გამოთქვა, რომ ინგლის იაპონიის კავშირი დიდხანს გასტანსო. ინგლისის ელჩმა მაცდონაღლმა უპასუხა: წინად იმედი გვექონდა, რომ ამ კავშირის წყალობით რუსეთ-იაპონიის ომი აღარ მოხდებოდა. მართალია, ეს იმედი არ გამართლდა, მაგრამ ინგლის-იაპონიის კავშირი მინიმალურ სარგებლობას მოიტანს თავის დროზეო. სხვა ორატორებმა ილაპარაკეს და სხვათა შორის, ყვითელი საფრთხეც გაიხსენეს. ორატორების აზრით, ყვითელ საფრთხეზე ლაპარაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იაპონიის ბანკის წარმოადგენელმა სონადამ სთქვა, იაპონია ყოველთვის ევროპის ერებთან იგივით ხელი-ხელ-ჩაკიდებულია: იაპონიას დიდი გონებრივი და ზნეობრივი კავშირი აქვს დასავლეთ ევროპასთანო. (არ. ს. 4).

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყება: ტოკიოში დიდი სარწმუნოებრივი კრება მოახდინეს. კრებას 1000-მდე კაცი დაესწრო: ინგლისელი და ამერიკელი მისიონერები, იაპონელი შინტოისტები და ბუდისტები. კრებამ დაადგინა, ეხლანდელ ომს არავითარი კავშირი არა აქვს რასასა (მოდგმას) და სარწმუნოებასთან; იაპონია მხოლოდ შორეულ-აღმოსავლეთში მკვიდრ ზავისა და მიშვილობიანობის დამყარებას ცდილობსო. (არ. ს. 4).

### ახალი ამბები და შენიშვნები.

\* გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშეში, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 3 მაისს: 1) „შუადღის 12 საათზე სინიუტენს მოუახლოვდა 17 გემი, რომელთაც სროლა აუტეტეს ქალაქს. ამავე დროს ხუთი გემი ნაპირს მოადგა. მეორე საათის ნახევარზე სამი დიდი გემი გამოჩნდა სოფელ გუანძიანტუნთან, კონცხის პირდაპირ. სამ საათსა და 20 წუთზე იაპონელებმა ჯარი გადასხეს ნაპირზე სოფელ გუანძიანტუნთან, საიდანაც დასავლეთი გაიჯოსაკენ გაემართნენ. 2) 27 აპრილს კუანდინისიანთან ჩვენი ყაზახებს შეტაკება მოუვლათ იაპონიის რაზმთან, რომელიც გვარდიის ერთ ბატალიონისა და 2 ესკადრონისაგან შესდგებოდა. სროლამ 1 1/2 საათს გასტანა. იაპონიის ქვეითა ჯარი და ცხენოსანთა რაზმი კარგად ვერ ისროდა. დაგვიტრეს ერთი ყაზახი; მოგვიკლეს ერთი ცხენი და დაგვიტრეს 7; ხოლო ორი ყაზახი უგზო-უყვლოდ დაიკარგა. ფინუანჩენიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიდამოებში იაპონელთა მოწინავე რაზმებმა 2 მაის დაიპირეს სოფელში ხაიგუმინძი, მდინარე ბადაოხეს ხეობაში, ძაიგოუ, —სენგებულ მდინარის მარცხენა ტოტის ხეობაში, შიტოუჩენი—მდინარე აინეს ხეობაში და კუანდასიანი. ქალაქ სიუნში 2 მაისს იაპონელები არა ყოფილან. 1 მაის იაპონელებმა დაიპირეს საღვთი პულანდიანი ორის ბატალიონითა და ორის ესკადრონით. პირველსა და ორ მაისს იაპონელთა სადარაჯო რაზმები საღვთი ვიფანდიანი 6 ვერსის მანძილზე იყვნენ. უფრო ძლიერი რაზმები პულანდიანის ჩრდილოეთით ორ მაისს არ აღმოჩენილა. გაიჯოუში იაპონელთა ჯარების გადმოსხმის შესახებ ახალი ცნობები არ მიმიღია“.

გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 4 მაის: „გენერალი სამსონოვი იტყობინება, რომ 3 მაისს, საღამოს 11 1/2 საათზე, იაპონელებმა მხოლოდ ჯარების გადმოსხმის დემონსტრაცია მოახდინეს სენიუტენსა და გაიჯოუს მიდამოებში. მათმა გემებმა ზარბაზნები დაუშინეს სენიუტენსა, ჩვენ სადარაჯო რაზმებს და ნაპირებს. 5 1/2 საათის შემდეგ ესკადრა სამხრეთ-დასავლეთისაკენ წავიდა და სანამ დაღამდებოდა, ჰორიზონტზე რამდენიმე გემი მოსჩანდა“.

\* \* \* ცახანში არსდება ქალთა უმაღლესი კურსები. კურსების დამაარსებელმა კომიტეტმა შემწევმა სთხოვა ტფილისის ქალაქის თეთი-მშაბრთველობას. 4 მაისს ქალაქის გამგეობამ განიხილა კომიტეტის თხოვნა და უსახსრობისა გამო უარ-ჰყო იგი.

\* \* \* როგორც ტფილისის საგუბერნიო საპყრობილის უფროსის ანგარიშიდანა სჩანს, აპრილის ბოლო რიცხვებამდე საგუბერნიო და მეტეხის საპყრობილებებში ყოფილა სულ 894 პატიმარი. აქედან აღმინიჭებული წესით შეპყრობილი 118 კაცია, პოლიტიკური აღნაშნავი 92.

\* \* \* 3 მაისს, უკვე დასრულდა საქართველოს საგზარბოხოსო სამრევლო-საეკლესიო სკოლების საეფარქიო ზედამხედველების კრება, რომელიც გორის ეპისკოპოსის ბენიამინეს თავჯდომარეობით მოხდა. სხვათა შორის, კრებამ გადათვლიერა რუსულ ენის სახელმძღვანელოები და დაადგინა, სამრევლო სკოლებში სასწავლებლად შემოიღოს კორხანილის „სივოც სლოვო“. აქამდე სკოლებში ხმარობდნენ ბან ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“.

\* \* \* საქართველოს ექსარხოზი 5 მაისს, გაემგზავრა ბოღბის წმ. ნინოს მონასტერში. 10 და 11 მაისს ექსარხოზი იოვანე ნათლის მკემლისა და დავით-გარეჯის უდაბნოში გაემგზავრა და 13 მაისს თბილისს დაბრუნდა.

\* \* \* გასულ სამოსწავლო წელს საქართველოს საგზარბოხოში ყოფილა სულ 306 სამრევლო-საეკლესიო სკოლა (129 სკოლით მეტი, ვიდრე წინა წელს). ამ რიცხვიდან მეორე ხარისხისა (სადაც მასწავლებლებს ამხადებენ) ყოფილა ორ-კლასიანი 26, ერთ-კლასიანი 197, წერა-კითხვისა 78, და საკვირაო 4. ამ სკოლებიდან 194 სკოლა საქელ-ვაჟო ყოფილა, საეაფებო 24, საქალგობო 31. მოწაფეთა რიცხვი ამ სკოლებში ასეა განაწილებული: ვაჟები 7,933, ქალები 4,332, სულ 12,273. მართლმადიდებელი ყოფილა 10,122, სომეხი—561, სექტანტი 377, თათარი 80, ფრანგი 27, ებრაელი—28. ამ სკოლების რიცხვიდან ტფილისში არსებობს 38, ტფილისის მაზრაში 19, ბორჩალოსაში—12, ახალციხისაში—10, ახალ-ქალაქისაში—3, დუშეთისაში—6, გორისაში—31, სიღნაღისაში—20, ზაქათალის ოლქში—4, თელავის მაზრაში—16, თიონეთისაში—9. ბაქო გუბერნიაში 15 სკოლაა, განჯისაში—8, ერენისაში—10, ყარსის ოლქში—29, ყაზიშენისაში—13, არდაგანისაში—3, ოლთისაში—2.

\* \* \* ფინლიანდის ქ. კასკეს მოურავად ნამყოფმა გუსტავ ამინოვმა თავის ვრცელ სიტყვაში სთქვა: ადრეან ჩვენ, ებრაელთა მზგავსათ, ყველაზე მეტად გვაღიწყოვებს რუსეთის მთავრობა, მოვალენი ვართ, იაპონელებს ბრძოლაში დახმარება გაუწიოთო. იმ კრებაზე დამსწრეთ, სადაც ამინოვმა სიტყვა წარმოსთქვა, დღევემა გაუგზავნეს იაპონიის ელჩს ვაშინგტონში და აცნობეს, რა საგანზე ჰქონდათ ბჭობა. კრებამ დაადგინა, მეორე დიდი კრება გამართოს ბრუკლინში იაპონიისათვის განსაკუთრებულ თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.

\* \* \* ერთ ამერიკულ გაზეთში მოყვანილია, რომ ფინლიანდიდან განძეკულებულმა ბანკირმა კარლ მანენრჰეიმმა ცხარე წერილი დასტამბა ამერიკულ გაზ. „ენინგ პოსტ“-ში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. წერილში განმარტებულია ბოლო დროს ფინლიანდიაში მომხდარი ამბები. ავტორის აზრით, რუსეთის პოლიტიკის უმთავრესი მიზანია—რუს „ჩინოვნიკებს“ ჩაუგდოს ხელში საუკეთესო თანამდებობანი ფინლიანდიაში და შემდეგ ეს ქვეყანა ასპარეზად გაიხადოს შვეიცის წინააღმდეგ გამოღოაქრებისათვის. მანენრჰეიმის აზრით, შორეულ-მტომოსაგლებთში ომს შედეგთი მოპყვება მძიმე შინაგანი არეულობა რუსეთში. იგი აფრთხილებს ამერიკელებს, რუსულ წყაროებიდან მოსულ ამბებს ნუ დაუჯერებთო, განსაკრებთი არ უნდა დაიჯეროთ ის ამბავი, რომ რუსეთის ხალხი თანაუგრძნობს ამ ომსაო.

\* \* \* ჩერნიგოვის „საერობო კრებულში“ დაბეჭდილია ჩერნიგოვის გუბერნატორის განკარგულება სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოების შესახებ და მისგან აკრძალულ წიგნების სია. აკრძალულია, სხვათა შორის, შემდეგი წიგნები: «ამბები ქ. კიევის ისტორიიდან», «სვერანსკის ცხოვრება და მოღვაწეობა», «ცხოვრება და სიყვარული», «გოგოლის ბიოგრაფია», «რომის იმპერატორის მარკ ავრელის ფიქრები», «ცა და დედამიწა» და სხვ. («ცნ. ფ.»).

\* \* \* როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, 1903 წლის პირველ იანვრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში 6,166,370 სული იმცხოვრები ყოფილა. აქედან ქუთაისის გუბერნიაში—1,570,921 სული, თფილისისაში—1,049,253 სული, ჩერნომორისაში—93,864, ზაქათალის ოლქში—89,403 სული.

\* \* \* ამას წინად ერთ გაზეთში, რომელსაც „Россия и asia“ ერქვა და კიევის უნივერსიტეტის

პრივატ-დოცენტი ბ. გრენი რედაქტორობდა, და-  
ბეჭდილი იყო ერთი უწმაწური წერილი, რომელ-  
შიაც ავტორი საბავლის სიტყვებით ლანძღავდა  
თამარ მეფეს და ჰქელავდა მის ხსენებას. ხმარობდა  
ისეთ უწმაწურ სიტყვებს როგორც თამარისა, ისე  
მთელი ქართველი ხალხის დასამცირებლად, რომლის  
მსგავსს ანდოიანი არა თუ მწერლობაში, ავლაბარში-  
აც კი იშვიათად გავიგანებს. ამ მწერალმა თავის  
დროზე ბევრი ააღელვა და ააშფოთა. ყველას გაუ-  
გებრად რწმობდა ის გარემოება, რომ ისეთი უწმა-  
წურობის დამწერს კიევის უნივერსიტეტი აფარებდა  
თავის კალთას და სტრავებდა ახალ თაობის მასწავ-  
ლებლად.

ესლა, როგორც ეტყობა, უნივერსიტეტის ფა-  
კულტეტსაც გაუგია ხსენებულ წერილის ნამდვილი  
შინაარსი და ბ-ნი გრენი უნივერსიტეტიდან დაუთ-  
ხოვნია. როგორც გავიგეთ, თბილისის გუბერნიის  
თავადაზნაურთა წინამძღოლს თავ. დ. ზ. მელიქის-  
შვილს წერილი მოსვლია კიევის უნივერსიტეტის  
რექტორისაგან, რომელშიაც იგი აცნობებს ფაკულ-  
ტეტის ვადამწვეტილებას შესახებ ბ-ნ გრენის დათ-  
ხოვნისა.

\* ვლადივასტოკის ქალაქის მოურავმა შემდეგი  
დღეში გაუგზავნა ფინანსთა მინისტრს: „მას შემდეგ,  
რაც ომი იქმნა გამოცხადებული და იაპონელებმა  
ზარბაზნები დაუშინეს ვლადივასტოკს, გადაიტანეს  
აქედან ყველა საადმინისტრაციო დაწესებულებანი  
ღ სასწავლებლები. მცხოვრებთა რიცხვი განახევრდა.  
ბევრნი ახლაც მიდიან ქალაქიდან, რადგან ერთობ  
გაქირვებულ მდგომარეობაში ჩაჯარდნენ. სამუშაო  
არაფერია. ადგილობრივმა ბანკებმა მოსპეს ახალი  
სესხის გაცემა. მრავალ ვექსილებზე პროტესტთა გა-  
მოცხადებულთა ქონების გაყიდვა არ შეიძლება ქე-  
სატობის გამო. ამ დროს კი ააროსლავ-კოსტრომის  
და ნიევეგორდ-სამარის ბანკები საჯარო ვაჭრობით  
ჰყიდიან იმ მოვალეთა ქონებას, რომელთაც დროზე  
ვერ შემოიტანეს სარგებელი. ბანკების კლიენტებს  
გაკატრება მოეღისთ. ხალხი, რომელსაც მომხდარ  
ამბებში არაფერი ბრალი არ უღვეს, უღუქმა-პუროდ  
რჩება. ბევრნი იძულებულნი გახდნენ თითქმის მუ-  
ქთად დაუთმონ თავისი ქონება ჩარჩებს. ქალაქის  
საბჭოსა და ბანკების კლიენტების მონდობილებით  
ვაუწყებულ ბანკების გამგეობათ ხალხის გა-  
ქირვებული მდგომარეობა, მივმართე იმათ პატრი-

ოტულ გრძობას და ვთხოვე მოესპოთ სარგებლის  
შეუტანლობისათვის გაქირვებულ მცხოვრებთა ქონე-  
ბის გაყიდვა, დემეშის საპასუხოდ, ნიევეგორდ-სამა-  
რის ბანკმა უკვე განკარგულება მოახდინა ვლადი-  
ვოსტოკში დანიშნულ საჯარო ვაჭრობის გადაღების  
შესახებ“.

\* გ. ზ. „ხარბინსკი ვესტ.“-ი იუწყება, რომ  
მანჯურიაში მრავალი ყალბი მანეთიანი და სამ-მა-  
ნეთიანი ქალაღის ფული გაუფრცვლებით იაპო-  
ნელებსაო. რუსეთ-ჩინეთის ბანკი მთელი ყუთებით  
აგზავნის ამ ყალბ ფულს.

\* ზმები ისმის, რომ ქუთაისის სასულიერო  
სემინარია სრულებით იხურება.

\* სტავროპოლიდამ გვწერენ, რომ ვისაც ამ  
სემინარიაში შესვლა სურს თხოვნები და საჭირო  
ქალაღები შეტანილი უნდა იქმნეს 28 აგვისტო-  
მდის, თორემ შემდეგ თხოვნებს აღარ მიიღებენო.

\* ყველასგან ცნობილი „რუსის პალომნიკის“  
რედაქტორი ალექსანდრე ივანესქე პოპოვიცკი უკვე  
გარდიცვალა. მისი ბიოგრაფია რუსულად იბეჭდებმა  
მისის-თვის ნომერში და ქართულად დავბეჭდეთ  
შემდეგ ნომერში.

\* ზმები ისმის, რომ ევისკოპოსი კირონი  
დამოუკიდებელ ეპისკოპოსად დაინიშნა ორლოვის  
ეპარქიაში.

\* ექიმი ვახტანგ დ. ლამაშიძე 7 ამ თვეს  
პარიეს გაემგზავრა ბავშვთა კოლონიის საჭირო ნივ-  
თების სასყიდლად და ამ თვის ბოლოს თფილისში  
დაბრუნდება.

\* საბავშო კოლონია ექიმის ვახტანგ დ.  
ლამაშიძისა, ბაკურნიანის ახლო ცემში იენის 15  
მზად იქნება.

\* თფილისის სასულიერო სემინარიაში ეგზა-  
მენები ამ თვის 31 თვედება. წელს სწავლას ამთავრებს  
თერთმეტი ქართველი. დღათ სამწუხარო! ამბავია  
რომ ასე ცოტა ქართველები ათავებს სემინარიის  
კურს.

\* ქართლ-კახეთის სამრევლო-საეკლესიო  
სკოლების საეპარქიო საბჭოს წევრმა ილ. ფერაძემ  
თხოვნა შეიტანა თანამდებობიდან განთავისუფლების  
შესახებ.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზრუნველებსა და კეთილ-ზნობრივებს.

საშუაბრი დაბადებილამ.

X.

წ ა რ დ ა ნ ა.

„შექმნათა“ თავი 3, 8, 8.

(შემდეგი\*)

კაცთა ნათესავი თანდათან ჩავფლო განხრწნილებასში; ქეშმარიტი ღმერთი დაივიწყა და მის ნაცვლათ სხვა-და-სხვა საგნებს დაუწყა თაყვანისცემა. დაბოლოს მთელი დედამიწა გაირყენა. ამ საერთო გარყენას განსაუთრებთ ერთმა გარემოებამ შეუწყობა ხელი. „შვილნი ღვთისანი“, ე. ი. აღამის მესამე ვაჟის, სეთის, ჩამომავალნი დემოკრენ „ძეთა კაცთასა“, ე. ი. კანის ჩამომავლობას. უწმინდურებთან დახლოება და კაცობის დაქვერან—ნიშნავს უწმინდურობისაკენ პირდაპირი გზის გაყვანას. „კაცთა ასულნი“ თვისი მოზიზღავი სილამაზით იმდენათ ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენდენ „ღვთის შვილებზედ“, რომ უკანასკნელთა შორის ფრიად ცოტანი აღმოჩნდენ ისეთი პირები, რომელთაც მათი ცდუნების წინაშე თავი არ მოიხარეს. „და თქვა უფალმან ღმერთმან: არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა ამათშორის უკუნისამდე; რამეთუ არიან იგინი ხორც“ (VI. 3);—და მოსანანებლად ას-ოცი წელი დაუნიშნა. საღმრთო მოთმინება განუზომელია, მაგრამ საზღვარი იმასაც აქვს. დაჰკრავს წუთი, როცა ღვთის მრავალ-მოთმინება გამოიღვევა,—და მას თან მოჰყვება უამრავი დასჯისა.

ხალხის გასასწორებლათ დანიშნულმა ღრომ უნაყოფოთ გაიარა. ეს კიდევ ცოტაა: უფრო და უფრო „განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი ქვეყანასა ზედა“ იმ ზომამდე, რომ ყოველი მათი საფი-

ქრალი იყო მხოლოთ ბოროტი. უკანასკნელ, დაჰკრავს ღვთის სასჯელის საათმაც. „თქვა ღმერთმან: აღვხრცო კაცი, რომელი შევქმენ, პირისგან ქვეყანისა: შევინანე, რამეთუ შევქმენ იგინი“ (6. 7).

მთელს მაშინდელს კაცობრიობაში მხოლოდ ერთად-ერთი ნოეს ოჯახი აღმოჩნდა შეწყალების ღირსი. ნემო, ამბოხს საღმრთო წერილი, —„პოვა მადლი წინაშე უფლისა ღვთისა; იგი იყო კაცი მართალი და სრული ნათესავსა შინა მისსა“. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ნოე არამც თუ თვითონ პირადათ ერთგული იყო ღვთისა,—არამედ იგი თვის ძალონდეს არ ზოგავდა, რომ იმ გარყენილ ქვეყანაზედაც კეთილი გავლენა ჰქონოდა, რომელიც მის გარს ერტყა. საღმრთო წერილი მას „სიმართლის ქადაგ“ უწოდებს (2 პეტრ. II, 5). სწინა, მას თვის თანამედროვეთათვის უწყებობა ის სისტიკი სასჯელი, რომელიც მათ მოელოდათ. მაგრამ მისმა სიმართლის სიტყვამ ვერავითარი გავლენა ვერ იქონია. ამის მიზეზი ადვილ-მისახვედრია: „ოდეს ცოდვილი მიაღწევს სიღრმესა ცოდვისასა,—არღარას სცდილობს“, ე. ი. უსჯულოებათა სიღრმეში ჩავარდნილ ადამიანს ვერავითარი ღვთის სასჯელისა და სამართლის შიშით ვეღარ გაუღვიძებთ სინანულის გრძობას.

უფალმა ნოეს უბრძანა—კიდობანი აეშენებია, რომელშიაც თვისითავე და თვისი ოჯახობა უნდა შეეფარებია და გადარჩინა. ნოეს სწამად, რომ ღვთის ყოვლადშემძღებელ მუარველობის ქვეშ ეს საშუალებაც სრულიად საქმაო იქნებოდა მის გადასარჩენათ მონაველ საშიშ ცვლილების დროს,—და საჩქაროთ შეასრულა ღვთის ბრძანება. ამ სარწმუნოებით მან მთელი თვისი თანამედროვე ქვეყანა გაიკცა და „მკვიდრ-იქმნა სიმართლისა“ (ებრაელ. XI, 7).

ბოლოს ღვთის რისხვამაც იქუხა ადამიანებზე. ნოეს თანამედროენი—სევამდენ, სკამდენ, ცოლს ირთავდენ და თხოვდებოდენ, ე. ი. მათი ცხოვრება ჩვეულებრივის წესით მიმდინარეობდა, ყოვლის-შემძღებელ არსებაზე უფიქვრელიათ და მოსალოდნელ სასჯელზე უღარდელათ;—წარღვნის ტაოლებმაც სწორეთ იმ დროს გადმოხეთქეს, როცა ადამიანები ყველაზე უფრო ნაკლებ მოკლოდენ ამგვარ საერთო უბედურებას. „განხევნეს (გაისხნა) საქანელნი ციხისანი“,—ეს თვალ-გაღუწვდენელი წყალო-საკანნი, რომელნიც მანამდის შემოკმედის ყოვლად შემძლე-

\*) იხ. „მწყემსი“ № 8, 1904 წ.



ბლობის წყალობით ჰაერში იყვნენ შეკავებულინი, —ა წამოვიდა არა წვიმა, არამედ მთელი წყარობის წვიმისა. ეს ორმოცი დღედაღამე გავრძეიდა ანა- ირათ, რაც რამ ქვეყანაზე ოკიანე, ზღვა და მდინარე იყო, ყველა წყლით გაივსო და ნაბირებზე გადმო- ვიდა. მთელი ქვეყანა და თვით უშუალოდესი მთებიც კი წყლით დაიფარა. ერთხელ კიდევ განმეორდა ხასია,—ეს ბრძოლა სტიქიონთა, ბრძოლა ფრიად გაკვირვებულის მიწის გარე-კანისა იმ ცეცხლთან, რომელიც მიწის შუაგულში იმყოფება, გადაყვითება ბუნების ძალითა,—რასაც საზოგადოთ „წარღნოვან ცვლოილებას“ ეძახიან.

და ყველაფერი, რაც კი მანამდის ქვეყანაზე არსებობდა, ერთიანთ მოისპო ამ საშინელი ცვლი- ლების დროს. მხოლოდ ნოე მისი სახლობითა და იმ ცხოველებით, რომელნიც ჩვენი ბრძანებით ჰყავდა კილობანში შეყვანილი, დარჩა მრთელი და უფნებელი. ქეშმარიტათ კეთილ-არს მისდა, რომელიც დამკვიდრებულ-არს შეწეწეითა მადლისათა: მას ვერც ცხოვრების უბედურებათა „წარღნის“ ტალ- ლები დაღორზობს და ვერც ვერავითარი კერძო გინდ საზოგადოებრივი ცვლილება შემუსრავს.

ერთი წელიწადი და ათი დღე დარჩა ნოე კი- ლობანში, სანამ ბუნებაში არეუ-ღარევა თვის კალა- პოტშივე არ ჩაღდა და წარღნის უკანასკნელი კვალი არ გაქრა. დაბლობსა, იგი გამოვიდა თვისი მხსნელი ტყუილობიდან,—და გამოსვლისთანავე პირველი მისი მოქმედება იყო—უფლისადმი სამადაბლებლი მსხვე- რპილის შეწირვა. „და აკურთხნა ღმერთთან ნოე და ძენი მისნი, და რქვა მათ: აღორძინდით და განმრავ- ლდით, და აღავსეთ ქვეყანა და ეფუღენით მას“ (IX, 1).—ამ კურთხევის შემდეგ ქვეყანა კვლავ გა- შეენ: ნოეს ჩამომავლობა, მისი სამი შვილის სემის, ქამის და იაფეთისაგან, ქვეყნის ყველა კუთხეებში გავრცელდა.

სასტიკე ვაკვეთილია, ძმანო, როგორც მთელი კაცობრიობისათვის საზოგადოთ, ისე ჩვენთვისაც კერძობითა..

ასე სასტიკათ დაისაჯა ძველი ქვეყანა თვისი უსჯულოებისა და სიბოროტისათვის. მაგრამ ისწავ- ლა თუ არა ახალმა ქვეყანამ ამ მაგალითისაგან ის დიდებული ქეშმარიტება, რომ „ღმერთი არ შეი- ვინების“, ე. ო. რომ დაუსჯელათ შეუძლებელია მის წმინდა ნებლობას ვეწინააღმდეგოთ და მისი მტნებანი დაეპროვოთ?.. არა, წარღნის შემდეგი კაცობრიობაც, უმეტეს ნაწილათ, იმავე გზით მიდის, რომლითაც წარღნის წინანდელი მისი წინაპრები

მიდიოდენ. საიღვან წარმოსდგება ეს გამგედაობა— იგივე საქმეები განაგრძონ, რომლის გულისთვისაც ერთხელ უკვე ასე სასტიკათ დაისაჯა კაცობრიობა?.. რა მიზნით, რა მოსაზრების ძალით?..

საიდან წარმოსდგება ეს უზრუნველობა—ლეთის მტნებისამებრ ვიცხოვროთ, ეს უტეხი წინააღმდეგობა ღვთის ნებისა, ეს გაუგონრობა «სიმართლის ქადა- გათა», რომელნიც ჩვენი უსჯულოებისათვის სასტიკ სასჯელს გვიწინასწარმეტყულებენ? რა იმედებსა და მოსაზრებას ვემყარებით, როცა ნოეს თანამედროეთა მსგავსათ, ცხოვრების ჩვეულებრივ ამოებაში ვტრია- ლებთ და გულწრფელ სინანულზე კი არასა ვფი- ქრობთ? ნუ თუ იმისი იმედი ვააქვს, რომ, უფლის აღთქმის თანახმათ, საერთო წარღნა აღარ განმეო- რდება? მაგრამ ნუ თუ ღვთის სასჯელის იარაღად მარტო წყალი შეიძლება გამოდგეს და არა ბუნების ყველა ძალები?.. და განა ეს სასჯელი დრო და დრო არ გვეწვევა ხოლმე, რაც უფრო ქვევით მივდივართ, მით უფრო ძლიერათ?..

აი რას ბრძანებს უფალი ღმერთი წინასწარ- მტყველის პირით: «სიმინენ ესენი ერმან სულელმან და უგულომან; თვლნი მათდა —და არა ხედვენ, ყურნი მათდა—და არა ესმის-ყვი; ნუ ჩემგან არა შეიშინათ, ანუ პირისა ჩემისაგან არ იწიწილათო?.. მე დავაწესებ ქვიშა საზღვრად ზღვისა, ბრძანებდა სულქონდა, და არა ზემთ აზნდეს მას, და აღძრას და ვერ შეუძლოს, და აღიტყველონ დელვათა მის- თა და არა ზეშთა ჰხედენ მას. ხოლო ერისა ამის იქმნა გული ურჩი და ურწმუნო; მიაქციეს და წა- რიდდეს, და არა თქვეს გულითა შინა მათთა: შევი- შინათ უფლისაგან ღვთისა ჩვენისა, მომცემლისა ჩვენდა წვიმისა მსთვისა და მცხველსა ეამსა შინა დასარულებისასა ბრძანებისა მკისასა. ნუ ამათ ზედა არ მოვივითა,—იტყვის უფლი,—ანუ ნათესავი- საგან ესე ვითარისა არა შურ იგის სულმან ჩემმან?« (იერემ. V, 21—21, 29). და რამდენი საღმრთო შურის-გება და სასჯელი მოგვევლინა ჩვენ უკვე ამ მკიერ ხანში: აქ ყანალები და მცარცველები, რო- მელნიც ხალხის უკანასკნელ სარჩო-საბადებელსაც კი იტაცებენ, იქ ამბობენა და უქმაცოფლებენ; აქ კერძო პირების მღვთი მოკვლა და მოსპობა, იქ საზოგადო ომი, ხალხთა ყლუტა და სისხლის ღვრა! რა გამოვიდა მერე: არც შენანება, არც ვასწორე- ბა!.. ნუ თუ, ძმანო, საერთო შურის-გება და ერთი- მყოფის ამოყლვთა საჭირო? მოვა იგიცა და უკვე მოწვეულ-არს.

(შემდეგი იქნება)

ს. კარგაძე.



მართლმადიდებლობით — ქრისტიანობრივის სა-  
ეკკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურე-  
ბის განმარტება.

გაგრძელება \*)

შეიშას უფაღმან ძალი და გარეშეირტყა. ბუნებაში  
ცხადად სწანს ძალა უფლისა, იმისი ყოვლის-შემძლე-  
ბელობა; ყოველივე ქმნილება ღალადებს ღვთის  
სიღლიდეს, სიძლიერეს; კვლევა-გამომიება ცის სივ-  
რცისა, დედამიწის სიღრმეთა ცხადყოფენ, თუ რა-  
მდენად ყოვლის შემძლეა უფალი.

და რამეთუ დაამყარა სოფელი, რათა არა შეიძინას.  
— ღვთის ძალა გამოიხატება იმაში, რომ მსოფლიოში  
ყოველისფერი მტკიცეთაა, მაგრადაა; არ ხდება  
ხილმე რამე აღრეულობა, სხვა-და-სხვა სხეულთა  
შეხილა-შეტაკება; ყოველივე წარმოებს წესისამებრ,  
თავის რიგზე.

სასწას შესას შეკნის სიწმინდე, უფაღა, სიგრძეს  
დღეთას. — ამ სახლის გვეგე უნდა ვიგულისხმით  
სამყოფელი — ბინა უფლისა, ე. ი. ეკკლესია, საზო-  
გადოება ღვთის მორწმუნეთა. ამ საზოგადოებას  
შეშვენის სიწმიდე, ე. ი. მას შეფფერის წმიდა ცხო-  
ვრება სიგრძესა დღეთასა, ანუ ყოველთა ჟამთასა;  
წვეგნი ამ საზოგადოებისანი ყოველ ბიწიერებას  
უნდა ერიდებოდენ და სათნოებათა უნდა ცხადყო-  
ფდენ, იქმოდენ.

ზემო აღნიშნულ წარდგომის გლობა დადგე-  
ნილია საკვირაო მწუხრზე იმისთვის, რომ კვირა  
დღის ღვთის-მსახურება დაწესებულია მოსაგონებლად  
მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომისა, და ამ წარდგო-  
მით აღინიშნება ისა, რომ აღდგომილი იესო ქრისტე  
გახდა მეუფედ ქვეყნისა ჭეკკლესიისა კაცობრულის  
ბუნებითაცა. ამის შემდგომ მთავარდიაკონი წარმო-  
სთქვამს კვერქეს, რომელიც იწოდება შეგვიწყოლენ-  
და, ანუ მრჩობლ კვერქსად; შეგვიწყოლენად  
იწოდება იმისთვის, რომ იგი იწყება ასე: შეგვიწყო-  
ლენ ჩვენ, ღმერთო; ხოლო მრჩობლად იმიტომ, რომ  
მასში თვითეულ თხოვნის შემდგე „უფაღო შეგვი-  
წყოლენ“ — სიგძლიერებულად, სამგზით გლობენ.  
ამ კვერქსში ჩვენ ვევედრებით უფალს სამეუფო  
სახლისთვის, უწმიდესი სინოდისათვის, მხედრობისა-  
თვის, მლოცველთათვის, ნაყოფის შემომწირველ

თათვის, ე. ი. იმ პირთათვის, რომელთაც მოაქტე  
ღვთისმსახურებისათვის საკირო ნაყოფნი, ნივთიე-  
რებანი: პური, ღვინო, ზეთი, სანთელი და სხვა. —  
კეთილყოფელთათვის, ე. ი. იმათის, რომლებიც  
სწირავენ ეკკლესიას განმშვენებისათვის; მწრომელ-  
თათვის, ე. ი. იმათათვის, რომლებიც ეკკლესიის  
კეთილმდგომარეობაზე ზრუნვენ, იღუწიან და ყო-  
ველთა აღამიანთათვის.

შეგვიწყოლენის შემდგომ წაიკითხება — და დის-  
შევენ, უფაღა, მწუხრსა ამას. ამ საკითხავში ჩვენ  
ესთხოვთ უფალსა დაგვიფაროს ცოდვისაგან, გამო-  
აჩინოს ჩვენზე თვისი წყალობა, განგვიპართლოს —  
გვაცხოვროს, განგვანათლოს. მერე მთავარდიაკონი  
იტყვის კვერქეს, რომელიც იწყება ასე: აღსრულეთ  
სამწუხრთა ვედრება ჩვენი უფაღს. ამ კვერქისთი თი-  
თეულ თხოვნის შემდგე მგლობთნი გლობენ:  
მოგუბადლე უფაღო! მოგვებადლე ე. ი. მოგვიანიქე,  
მოგვეცი, აღგვისრულე. იმაში ღმერთსა ესთხოვთ  
ღამე მშვიდობიანად, უცოდველად გავგატარებინოს,  
მოგვიფილინოს ანგელოზი, რომელიც, იესო ქრის-  
ტეს სიტყვისამებრ, ყოველ მორწმუნეს ეძლევა (გე-  
ტყვი თქვენი, რამეთუ ანგელოსნი მათნი, ე. ი. მორ-  
წმუნეთა, ცათა შინა მარდის ხედვენ არსა მამისა  
ჩემისასა. (მათ. 18, 10.), და რომელიც ყოველ ცუ-  
დასაგან, სულის სიწმინდისათვის და ხორციელ, გარ-  
ეგნობით კეთილმდგომარეობისთვის მავნებელ საქ-  
მისაგან გვეფარავს; შეცოდებანი გვაპართოს, მოგვე-  
ნიქოს კეთილნი და უმჯობესნი სულთა ჩვენთანი,  
ე. ი. ის, რაც ხელს უწყობს ჩვენი სულის განვი-  
თარებას, აღორძინებას, ზეფსვლას, განათლიერებას;  
ვითხოვთ კიდვე შემდგომთა ჟამთა ცხოვრებისა ჩვე-  
ნისათა უქირველთა, ურცხვენელთა. ვევედრებით  
უფალსა, რომ აღსასრული, სიკვდილი ჩვენი იყოს  
უქირველი — გაუქირვებელი, უმტკინველთა, უტან-  
ჯველი; წყნარი, მშვიდობიანი, — ურცხვენელი, ანუ  
შეურცხვენელი, დაუქრახველი, პატიოსანი, — რომ  
უცოდველად ვიცხოვროთ და უცოდველადვე გან-  
ვუტეოთ სული; ვითხოვთ კეთილისიტყვის გებასა  
საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესსა, ე. ი. განმარ-  
თლებას, ცხოვრებას უკანასკნელ განსჯის, განკით-  
ხვის დღესა, რომელიც, განსჯა, იქნება მაცხოვრის  
მეორედ მოსვლის დროსა (რამამს მოვიდეს ძე კა-  
ცისა დიდებთა თვისისა და ყოველნი ანგელოზნი  
მისნი მისთანა, მაშინ დასჯდეს საყდართა დიდებისა

\*) ის. „მწეგმისა“ № 6 — 7, 1904 წ.



თვისისათა. და შეკრბეს წინაშე მისსა ყოველნი ნათესაინი... სახ. მათ. 25, 31).

შემდეგ გალობენ სტიქარონებს. კვერქესში ვითხოვთ რა კეთილ განსვენებას, პატრიარქს, მშვიდობიან მიცვალებასა, ჩვენ უნდა მოვისხნეთ ის პირნი, რომელთაც არამც თუ კეთილად, არამედ დიდებულადაც განისვენეს და ახლა სასუფეველში ნეტარებენ, ე. ი. წმიდანები. აი, მომეტებულ ნაწილად, ამათ ვადიდებთ ხსენებულ სტიქარონებში; აგრედვე მათში დიდებისმეტყველებით იესო ქრისტეს მოსვლასა, რომელიც ჩვენთვის იყო მაცხოვარებითი, რომლის ძალითაც მოგვეცა საშეაღება ამ ქვეყნიურ ცხოვრების წმიდად განვლისა და უფლის წინაშე განმართლებულად წარდგომისა. აგრედვე წმ. ეკკლესია მოგვაგონებს ხოლმე, თუ როგორ სანატრელი იყო სიკვდილი წმ. სვიმეონ მოხუცისათვის, თუ როგორ სიხარულით მიეგება იგი საუკუნო ცხოვრებაში გარდასვლასა. ამას მოგვაგონებს იგი იმ სიტყვების გალობითა, რომლებიც წმ. სვიმეონმა თვის სიკვდილის წინ წარმოსთქვა: „აწ ვაღუტევ მონა შენი, უფალო, სიტყვისაგარ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი; რომელი განუშხადე წინაშე პირისა ყოველთა კაცთასა, ნათელი გამობრწყინებდა წარმართა ზედა და დიდებდა ერისა შენისა ისრაილისა“. წმ. სვიმეონი ცხოვრებდა იესო ქრისტეს მოსვლამდე. მას სულიწმიდამ აღუთქვა, რომ იგი სიკვდილს არ იხილავს, სანამ მხსნელი არ მოვა. და აი როცა იესო ქრისტე დაიბადა და იგი მეორმოცე აღდგ ტაძარში მიიყვანეს, მაშინ, სულისწმიდის ჩაგანებით წმ. სვიმეონიც იქ მივიდა, ყრმა მიირქვა, მკლავებზე მიიღო, დაისვა, და სთქვა: „ახლა კი განმიტევებ, გამიშვებ, უფალო, ამ სასუთაროსიგან მოსვენებული, ნუგეშეცემული, რადგან გნახე მხსნელი კაცობრიობისა, ძე ღვთისა, რომელიც შენ მოავლინე ამ სოფელად განსაჩათლებლად, საცხოვრებლად წარმართთა და სადიდებელად ძეთა ისრაილისათა, რომელთა შორის იგი მოვიდა“. სვიმეონი ასე გახარებული მიეგება სიკვდილსა იმიტომ, რომ იგი იყო სულით აღფრთოვანებული ღვთისადმი, იმასთან დაკავშირებული მტკიცე სიყვარულითა, და იმის ნეტარებას მუდმივ ღმერთთან ყოფნა შეადგენდა. ჩვენც, თუ გვსურს,

სიკვდილი საშიში კი არა, სანატრელი იქნეს, სვიმეონ მოხუცისამებრ სულის სიწმიდე უნდა შევიძინოთ, სახარებისებრივი სათნოებანი უნდა შევისისხლებოცოთ.

ნეტარ არს კაცი, მართალი, მშობავი, ღვთისა, მსვლელი გზათაზედა უფლისათა! აღსასრული იმისა პატრიარქს არს; მას საუკუნოში დაუსრულებელ სიტკბოება—სიამოვნება მოვლის.

აგრედვე „აწ ვაღუტევ“ გალობის დროს უნდა წარმოვიდგინოთ ძველის აღთქმის განტევება, დასრულება. მოვიდა მაცხოვარი, რომელსაც ძველს აღთქმაში მოვლოდნენ, და დადგა დრო ახლის აღთქმისა, ახლის ცხოვრებისა, ახლის კავშირისა ღმერთთანა.

(გაგრძელება იქნება).

კაჭხაძე.

# ქუთაისში

## ს. მ. პ. იოანესიძის

### ს ა ა შ ა დ მ ე შ ო უ ი,

რომელიც იმჟოფება მათი უმაღლესობის პრინციპულად დადგენილად და მფარველობის ქვეშ, 75 წელიწადი მინახან, ნურგებისა, საქართველო, დედათა და თვალთა ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მედიკალურ-საქონიურ განყოფილებათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთა მკურნალთა არ დეპულობს.

ფასი დღე-ღამეში ქაშა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე. (წ)

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

**ოფიციალური განყოფილება:** განჩინება უწმიდესი და უმართებლესი სინოდისა სამღვდელთა პირთა დაჯილდოებაზე, **სალიტერატურო განყოფილება:** მღ. მამა მიხეილ ჩიქვინიძის წერილის გამო, დეკ. დ. ლ-ძის.—წერილი რაჭიდან, მღ. დ. კ-ძის.—„გზა პედინი-ერებისაკენ“, ნ. ხ-კ.—წერნალ-გაზეთითა. —ახალი ამბები და შენიშვნა.

**საშავა და მინიერება ქრისტიანობის სარწმუნოებასა და კეთილ-უნებობაზე:** საუბარი დაბადებულამ. ს. გორგაძის.—მართლებლობით—ქრისტიანობრივის საეკლესიო საზოგადოებრივის ღვთის მსახურების განმარტება, კატახიძის.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **ლ. ლაშაშვიდი**  
*Дозволено цензурою* Архимандритъ Георгій Мая 18 1904 г.

Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Типог. редакції журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирляხъ въ собст. домѣ.